

# მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

აცხადებს კონკურსს

## ექსპერტები

ქურნალ „მასწავლებლის“ დაკვეთილ სტატიებზე სამუშაოდ

(შვიდი ექსპერტი)

### შესავალი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ქურნალ „მასწავლებლისთვის“ დაკვეთილ სტატიებზე სამუშაოდ აცხადებს ექსპერტების კონკურსს.

### მიზანი:

ქურნალი „მასწავლებელი“ გამოიცემა ორ თვეში ერთხელ და ვრცელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ქურნალის საშუალებით მასწავლებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ; ამასთან, ქურნალის მეშვეობით ვრცელდება ინფორმაცია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ: გამოცდისათვის მოსამზადებელი სტრატეგიები, მასწავლებელთა სტანდარტები, განმარტებები სტანდარტთან დაკავშირებით, მეთოდური მასალები, საგაკვეთილო გეგმების ნიმუშები და სხვა დამხმარე რესურსები. ცენტრი ატარებს კვლევებს მასწავლებლების საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე. ამ კვლევის შედეგების საფუძველზე, აგრეთვე ქურნალის პოპულარობის გაზრდასთან და განათლების სფეროში ახალი ინიციატივებისა და ცვლილებების გამო, საჭირო გახდა ქურნალის ექსპერტების ჯგუფის შექმნა, რომლებიც მოამზადებენ პედაგოგიკის სფეროში მასწავლებლების საჭიროებების შესაბამის მასალებს და სტატიებს.

მრავალფეროვნებისთვის ასევე საჭიროა უცხოური მასალების თარგმნა, კომპილაცია და უცხოელი ექსპერტებისაგან ინტერვიუების ჩაწერა, რაც ასევე ექსპერტთა ჯგუფის დამატებით მოვალეობას შეადგენს.

სამუშაოები განხორციელდება 15/01//2012-დან 25/12/2012-მდე.

### სამუშაოს აღწერა

ცენტრის მიერ არჩეული ექსპერტები ქურნალ „მასწავლებლისთვის“ სარედაქციო კოლეგიის შეკვეთით შექმნიან მასალებს, დაწერენ სტატიებს, მოიძიებენ, თარგმნიან და დაამუშავებენ უცხოურ მასალებს, აგრეთვე ჩაწერენ საერთაშორისო ექსპერტებს, მოახდენენ მასალების რეცენზირებას.

თითოეული ნომრისთვის ექსპერტების მიერ შეიქმნება პრაქტიკული რესურსები მასწავლებლებისთვის, რომელსაც ისინი გამოიყენებენ პროფესიულ საქმიანობაში.

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- განათლების სფეროში არანაკლებ 3 წლიანი მუშაობის გამოცდილება;
- ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ცოდნა;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარი: MS Office, ელ.ფოსტა;
- უცხო ენის (ინგლისური ან გერმანული, ან ფრანგული ან რუსული) ცოდნა.

ექსპერტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს სტატიები საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით.

### ანგარიშგება

ექსპერტები ანგარიშგაღებულნი იქნებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორთან და ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

### ხელშეკრულების ხანგრძლივობა

თითოეული ექსპერტისათვის ხელშეკრულება გაფორმდება 2 თვიანი გამოსაცდელი პერიოდით, და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება მისი გახანგრძლივება წლის ბოლომდე.

დაინტერესებულმა პირებმა წარმოადგინეთ **CV** და სამოტივაციო წერილი ელ-ფოსტით მისამართზე: [ingorokvanatali@gmail.com](mailto:ingorokvanatali@gmail.com)

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2011 წლის 31 დეკემბერი, 18:00სთ.